

ეკა აკობია

Tuscia/Italy

„კავკასიის უნივერსიტეტსა და იტალიის ტუშას უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ერაზმუს + მობილობის შეთანხმების ფარგლებში 27 ნოემბერი-3 დეკემბრის კვირა დავყავი იტალიაში.

ვიზიტის ფარგლებში მქონდა ლექციები ტუშას უნივერსიტეტში, სადაც ჩემი მასპინძელი კოლეგა გახლდათ პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის ლექტორი, დოქტორი სანტე კრუჩიანი. გაცვლილი ვიზიტის ფარგლებში შესაძლებლობა მომეცა ტუშას უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტებისთვის ჩამეტარებინა ლექცია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების: რეალიზმის, ლიბერალიზმისა და კონსტრუქტივიზმის შესახებ. ძალიან სასარგებლო იყო უცხოურ აუდიტორიაში ლექციის წაკითხვა, ქართულ და იტალიური აუდიტორიის შედარება და სხვადასხვა პრაქტიკული თუ აკადემიური გარემოებების გაცნობა. ამასთან, პატივი იყო იტალიელი კოლეგების გაცნობა და მომავალში შემდგომი აკადემიური თანამშრომლობისთვის კავშირების გამყარება“.